განმცხადებელი : სულხან ბორძიკაშვილი, სოციალური სამართიანობის ცენტრი
თარიღი : 17-11-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **პრინციპი 1;პრინციპი 7;პრინციპი 11**

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **: 2022 წლის 7 მაისს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-ის 18:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება ,,კურიერის" წამყვანი სანდრო სანაია.**

სადავო მასალა : 2022 წლის 7 მაისს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-ის 18:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება ,,კურიერის" ეთერით გავიდა სიუჟეტი (18:19 დან 18:23 -მდე დროის მონაკვეთი). სიუჟეტის ბმული: https://www.facebook.com/rustavi2/videos/564506041768517 (დასაწყისი: 19:45 დან).

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

საჩივარი 2022 წლის 7 მაისს ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-ის 18:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება ,,კურიერის" ეთერით გავიდა სიუჟეტი (18:19 დან 18:23 -მდე დროის მონაკვეთში), სადაც პანკისის ხეობაში ადგილობრივი აქტივისტი სულხან ბორძიკაშვილი პროვოკაციული დაჯგუფების ლიდერად, მის მიერ ,,იჩქერიის დროშის" დარიგება და გამოფენა კი, ,,საფრთხის შემცველ" ქმედებებად არის წარმოჩენილი, რაც რეალურად მაყურებლის განწყობების მანიპულაციას ემსახურება.

აღნიშნული სიუჟეტის ეთერში გაშვებით ტელეკომპანიის ჟურნალისტმა სანდრო სანაიამ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შემდეგი პრინციპები: პირველი - ინფორმაციის სიზუსტე; მეშვიდე - დისკრიმინაცია (შუღლის გაღვივების მცდელობა და სტიგმის გაძლიერება ეთნიკური ნიშნით); მეთერთმეტე - ფაქტის განზრახ დამახინჯება;

სიუჟეტის წარდგენისას გადაცემის წამყვანი, სანდრო სანაია შესავალს შემდეგნაირად აკეთებს: ,, პანკისის ხეობაში ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში იჩქერიის დროშების დარიგებამ და შენობებზე მოხატვამ მოსახლეობის მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. პანკისელები გმობენ სოფლებში, გზებსა და მოსაცდელ ადგილებში სხვადასხვა ქვეყნის დროშების გამოჩენას და სანაცვლოდ საქართველოს დროშის გადაღებვას. ფიქრობენ რომ მსგავსი ქმედება შეურაცხმყოფელია და გარკვეული ძალების მხრიდან პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ სოციალური ქსელის საშუალებით EMC-ის წარმომადგენლის სულხან ბორძიკაშვილის ინიციატივა მიუღებელია, რომელიც მათი თქმით, მოსახლეობას სთავაზობს იჩქერიის დროშის ჩუქებას და საცხოვრებელ სახლში განთავსებას. თანასოფლელების აზრს არ იზიარებს სულხან ბორძიკაშვილი. მისი განმარტებით, სხვადასხვა შენობაზე დროშების გამოსახვა შეურაცხყოფას არ ნიშნავს, ხოლო იჩქერიის დროშის პოპულარიზაციას კი ადასტურებს და მიზეზად ანტირუსულ განწყობას ასახელებს".

წამყვანის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია, რომელიც აუდიტორიას გასაშუქებელი თემისა და ,, გაურკვეველი ძალების მხრიდან პროვოკაციული ხასიათის" ქმედებების მიმართ თავიდანვე ნეგატიურად განაწყობს, ფაქტობრივ უზუსტობებს და არასრულ ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ: პანკისელები გმობენ სოფლებში, გზებსა და მოსაცდელ ადგილებში სხვადასხვა ქვეყნის დროშების გამოჩენას და სანაცვლოდ საქართველოს დროშის გადაღებვას.
წამყვანის მიერ გაკეთებულ შესავალში, ვითარება იმგვარად არის წარმოდგენილი, თითქოს სულხან ბორძიკაშვილის დაჯგუფების წევრები პროვოკაციულ ქმედებებს ახორციელებენ- საჯარო სივრცეებში მოხატულ საქართველოს დროშებს შლიან და სანაცვლოდ იჩქერიის დროშებს ხატავენ, რაც მოსახლეობაში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს. რეალურად, ადგილი

არ ჰქონია, საქართველოს დროშის წაშლის ხარჯზე იჩქერიის ან/და სხვა რომელიმე ქვეყნის დროშის დახატვას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ სიუჟეტის მიმდინარეობისას ჟურნალისტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას პუნქტობრივად (1-6), რომელიც უზუსტოდ, მანიპულაციურად, მიკერძოებულად და ბალანსის დაუცველად გაშუქდა:

1. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საზოგადოებაში, მათ შორის, პანკისის ხეობაში ჩეჩნეთში რუსეთის არაადამიანური და სასტიკი ომის ემოციებმა და მეხსიერებამ გაიღვიძა. ამ ფონზე უკრაინის მხარდაჭერის მიზნით, პანკისის ადგილობრივებმა სოფლის (ომალო) საჯარო სივრცეში იჩქერიის დროშა დახატეს (იხ.ფოტო 1). იმავე საღამოს, ადგილობრივები იმავე სივრცეში არსებულ მეორე ,,დაფაზე“ საქართველოს დროშის მოხატვასაც აპირებდნენ, რაც ვეღარ მოესწრო ადგილზე პოლიციის მობილიზების გამო.
2. 27 მარტს ადგილობრივების მიერ დახატული იჩქერიის დროშა პოლიციამ წითელი საღებავის მეშვეობით წაშალა. (იხ.ფოტო 2)
3. საპოლიციო ძალების მიერ დამოუკიდებელი ჩეჩნეთის სიმბოლოს- იჩქერიის დროშის წაშლას მოჰყვა სწორედ 2022 წლის 28 მარტს სულხან ბორძიკაშვილის საჯარო სტატუსი სოციალურ ქსელში. (იხ. ე.წ ,,სქრინი“- ფოტო 3). აღნიშნული სტატუსის მიზანი იყო, საჯაროდ იმის იდენტიფიცირება, რომ იჩქერიის დროშის მოხატვა თუ გამოფენა, არანაირ კანონით აკრძალულ ქმედებას არ წარმოადგენს, რომელიც სამართალდამცავების ჩარევასა და წაშლას საჭიროებს. პირიქით, სტატუსის ავტორის განმარტებით, დროშა თავისუფლების სიმბოლოა და მსურველებს საკუთარი ხარჯით დაურიგებს. სულხან ბორძიკაშვილის განმარტებით, თუ ვინმეს შეიძლება არსებულ რეალობაში თავისუფლების სიმბოლოს გამოფენა აღიზიანებდეს, პრორუსული ინტერესების მქონე ჯგუფებია.
4. 5 აპრილს, იმავე სივრცეში, სოფელ ომალოში არსებული სხვა ,,დაფა“ ადგილობრივების მიერ ამჯერად იჩქერიისა და უკრაინის, შედარებით მცირე ზომის დროშებით მოიხატა. (იხ.ფოტო 4).
5. 6 აპრილს, სავარაუდოდ პოლიციამ უკრაინისა და იჩქერიის დროშები ისევ წაშალა და სავარაუდოდ, პოლიციისვე მიერ სივრცის ორივე ,,დაფა“ საქართველოს დროშებით მოიხატა. (იხ. ფოტო 5).
6. 2022 წლის 6 აპრილს, სავარაუდოდ ადგილობრივებმა, მოხატული საქართველოს დროშების ნაწილი (დროშის კუთხეებში დახატული პატარა ჯვრები) წაშალეს.

გადაცემის წამყვანი კი სიუჟეტის შესავალში საქართველოს დროშების ნაწილობრივ წაშლას სულხან ბორძიკაშვილს ან/და მისი ,,დაჯგუფების“ წევრებს უკავშირებს, იმ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების აღწერის გარეშე, რაც ზემოთ არის წარმოდგენილი.

შესაბამისად, საქართველოს დროშის წაშლის ხარჯზე კი არ მომხდარა, იჩქერიისა და უკრაინის დროშების დახატვა, რეალობა პირიქით იყო. სწორედ პოლიციის მიერ იჩქერიისა და უკრაინის დროშის წაშლას, როგორც საპოლიციო ძალების მიერ თავისუფლების სიმბოლოების უარყოფას მოჰყვა 28 მარტს ადგილობრივი აქტივისტის სულხან ბორძიკაშვილის საჯარო სტატუსის ,,ფეისბუქზე” იჩქერიის დროშების დარიგების შესახებ. საქართველოს დროშის ნაწილობრივი წაშლა ადგილობრივების მიერ, კი მოხატული იჩქერიის დროშების ორჯერ გადაღებვის შემდეგ დაუდგენელი პირების მიერ მოხდა. აქედან გამომდინარე, წამყვანის მიერ წარმოდგენილი შესავალი ცრუ ინფორმაციას შეიცავს, მანიპულაციურია და საზოგადოებას არასწორი ფატების მიწოდებით უყალიბებს ნეგატიურ მოსაზრებას, როგორც სულხან ბორძიკაშვილის, ასევე ირიბად ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ (ყოფილი EMC) მიმართაც, რადგან ჟურნალისტი სულხან ბორძიკაშვილს EMC-ის წარმომადგენლად მოიხსენიებს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას პანკისელ ატივისტთან თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება აკავშირებს და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, მის დამოკიდებულებას სრულად იზიარებს და სრულ თანადგომას უცხადებს, ფაქტების დონეზე სიუჟეტი ამ ნაწილშიც არაზუსტია.

ჯეროვანი სიზუსტისა და მიუკერძოებლობის პრინციპებთან ერთად, დარღვეულია ბალანსიც, რადგან ორივე მხარის პოზიციის მაყურებლისათვის ფორმალურად მიწოდება ვერ ჩაითვლება ბალანსის დაცვად. აღნიშნული კიდევ ერთი გამოკვეთილი, ნათელი დადასტურებაა გადაცემის მიზნისა და აქცენტების შესახებ- სულხან ბორძიკაშვილისა და ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის" (ყოფილი EMC)-ის მიმართ მიკერძოებული და ნეგატიური განწყობების შექმნისა. გადაცემის წამყვანი სიუჟეტის შესავალში ამბობს, რომ ,, პანკისის ხეობაში ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში იჩქერიის დროშების დარიგებამ და შენობებზე მოხატვამ მოსახლეობის მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია". მაშინ როცა მთელი სიუჟეტში, საკითხის მიმართ ,,არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები" კი არ არის წარმოჩენილი, არამედ შერჩეულია ისეთი 3 რესპოდენტი, რომლებიც გადაცემის შესავალში გაკეთებულ უარყოფით განწყობებს ,,დაჯგუფების ლიდერისა" და მისი ,,საქმიანობის" მიმართ ცალსახად უარყოფითად, საფრთხისა და პროვოკაციის კონტექსტში აფასებენ. რესპოდენტი მალხაზ მელქუაშვილი: ,,მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს რომ ამ ყველაფერს სჭირდება რეაგირება და ზოგადად ყურადღების მიქცევა, როგორც ამ ადამიანს, ისე მის დაჯგუფების წევრებს და საინტერესოა რას იტყვის ამ ყველაფერზე EMC ის ხელმძღვანელობა. ვფიქრობ რომ პირიქით, საზოგადოება ცოტა სხვანაირად უნდა აზროვნებდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოებრიობას და საღ აზრს, ასე ვთქვათ. რესპოდენტი: ზაურ კუშტანაშვილი ,,არის თითო ოროლა პროვოკატორი, ამათ არ უნდა ავყვეთ ჩვენ. აი მეჩეთში ვინცა ვართ, ყველა ავედით სოფელში გავაფრთხილეთ, ესეთი რამეები არ ჩაიდინოთ, არ გააკეთოთ. ჩვენ არ გვინდა ეს პროვოკაციები, ჩვენ მშვიდად ცხოვრება გვინდა, მშვიდად ვიყოთ. მე კი არა, მეტი წილი, ხომ გეუბნები 80 % ეწინააღმდეგება ეგეთ პროვოკაციებს". რესპოდენტი: ელზა მარგოშვილი: ,,ძალიან მიზანშეუწონლად მიმაჩნია, მე ვფიქრობ რაღაც პროვოკაციის მიზნების გამო გააკეთეს ეს საქმე. ვნახეთ ასფალტზე რომ იყო, კედლებზე რომ იყო. არ მოგვეწონა, არ არის მიზანშეწონილი, ამ საქმეს ვინც გინდა იყოს, ვინც გინდა ჩადიოდეს". სიუჟეტის ბოლოს, სულხან ბორძიკაშვილის 30 წამიანი ჩართულობა, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც ნათელია არა მხოლოდ სიუჟეტით მხარეებისთვის დათმობილი დროის თანაფარდობის მხრივ, არამედ რესპოდენტის კომენტარის არასრულფასოვანი გაშუქების ნაწილშიც (სულხან ბორძიკაშვილის გაშუქებული კომენტარი არ მოიცავდა იმ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც აღნიშნულ საჩივარში აღვწერთ და რის შესახებაც რესპოდენტმა ჟურნალისტს სრულფასოვანი ინფორმაცია მიაწოდა). შესაბამისად, წამყვანის (სანდრო სანაია) მიერ დარღვეულია შემდეგი პრინციპები: პირველი - ინფორმაციის სიზუსტე, მეთერთმეტე - ფაქტის განზრახ დამახინჯება; რომელთა თანახმად: ,, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. (პრინციპი 1) „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:ფაქტის განზრახ დამახინჯება; (პრინციპი 11) გარდა იმისა, რომ მთელი მასალა დაუბალანსებელია და არასრულ/ უზუსტო ინფორმაციას შეიცავს, სიუჟეტში სულხან ბორძიკაშვილი ,,გაურკვეველი" დაჯგუფების ლიდერად გვევლინება, რომლის წევრებიც პროვოკაციული ქმედებებით საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას და სიმშვიდეს. შესაბამისად, მაყურებლისთვის პანკისის ხეობაში რომელიმე ადგილობრივის მიერ საქართველოს დროშის წაშლისა და მის ნაცვლად იჩქერიის დროშის მოხატვის, როგორც პროვოკაციული-უარყოფითი მოვლენის მანიპულაციურად მიწოდება შეიცავს ეთნიკური ნიშნით შუღლის გაღვივების საფრთხეს. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ გავრცელებული ინფორმაცია არასწორი იყო, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახეზე იყო ეთნიკური ნიშნით შუღლის გაღვივებისა და დისკრიმინაციის მცდელობა. ამასვე ადასტურებს სადავო მასალის შემდეგ ქვემოთ მკითხველის კომენტარები, თუ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ე.წ ,,პოსტები", სადაც სტატიაში მითითებული არასწორი ფაქტების საფუძველზე გამოთქვამდნენ შეურაცხმყოფელ შეფასებებს. მით უფრო, მაშინ, როდესაც პანკისი ხელისუფლებების მიერ ხშირად არის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების საგანი და დღეისთვის საზოგადოების პანკისის მიმართ დომინანტური მზერა არის უსაფრთხოების მზერა, რაც ხეობაში მცხოვრები ადამიანების დაუცველობასა და იზოლაციას აღრმავებს. შესაბამისად, საკითხის ამგვარად დაყენება -საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პროვოკაციული დაჯგუფების არსებობა აძლიერებს სტიგმას და აღრმავებს ეჭვებსა და უნდობლობას ადგილობრივი ქისტების მიმართ.

შესაბამისად, დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპიც: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით. რაც შეეხება, ჟურნალისტის მიერ ფაქტების განზრახ დამახინჯებას, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად: ,, ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს ფაქტის განზრახ დამახინჯება". საბჭოს მიერ, ფაქტები განზრახ დამახინჯებულად ჩაითვალა, როცა დადგინდა, რომ: ობიექტური გარემოებები იძლეოდნენ დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ჟურნალისტმა იცოდა ნამდვილი ფაქტი და მაინც არაზუსტად გაავრცელა; როგორც აღვნიშნეთ, სულხან ბორძიკაშვილის გაშუქებული კომენტარი არ მოიცავდა იმ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც აღნიშნულ საჩივარში აღვწერთ და რის შესახებაც რესპოდენტმა ჟურნალისტს სრულფასოვანი ინფორმაცია მიაწოდა. გარდა ამისა, მთელს სიუჟეტში, საკითხის მიმართ ,,არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები" კი არ არის წარმოჩენილი, არამედ შერჩეულია ისეთი 3 რესპოდენტი, რომლებიც გადაცემის შესავალში გაკეთებულ უარყოფით განწყობებს ,,დაჯგუფების ლიდერისა" და მისი ,,საქმიანობის" მიმართ ცალსახად უარყოფითად, საფრთხისა და პროვოკაციის კონტექსტში წარმოუდგენენ მაყურებელს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჟურნალისტის მიერ ფაქტების მანიპულაციური მიწოდებითა და არგადამოწმებით იქმნება შთაბეჭდილება (ობიექტური გარემოებები იძლევიან დასაბუთებულ ვარაუდს), რომ მიზანმიმართული განზრახვასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, რომ არასწორი ფაქტების განზრახ გავრცელებით მოხდეს სულხან ბორძიკაშვილისა და ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის" საქმიანობის მიმართ უარყოფითი განწყობების გაღვივება და დისკრედიტაცია. მით უფრო მაშინ, როდესაც სულხან ბორძიკაშვილისა და არასამთავრობო სექტორის მიმართ, სამთავრობო ტელევიზიების მიერ დამახასიათებელი არასამათავრობო სექტორის დისკრედიტაცია უკვე კამპანიურ ხასიათს ატარებს. საჩივარში დასახელებული ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით გათვალისწინებული მოთხოვნები დარღვეულია მაყურებლისთვის ცრუ ინფორმაციისა და ფაქტების მანიპულაციური მიწოდებით, ფაქტების არგადამოწმებისა და ბალანსის დაუცველობის, აგრეთვე ერთიანი კონტექსტისა და იმ მიზნების გათვალისწინებით, რაც თავისი არსით გადაცემა ემსახურება, გთხოვთ შესაბამის რეაგირებას.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები